დანართი N1

დამტკიცებულია შპს „საქართველოს ფოსტის“

გენერალური დირექტორის 2026 წლის

№ ბრძანებით

სახმელეთო ამანათის „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით საქართველოში გაგზავნის წესი

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

სახმელეთო ამანათის „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით საქართველოში გაგზავნის წესი წარმოადგენს იმ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების ერთობლიობას, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ სთავაზობს მომხმარებელს სახმელეთო ამანათის საქართველოში გაგზავნის მომსახურების განხორციელებისას. ხელშეკრულება სახმელეთო ამანათის გაგზავნის შესახებ სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებით დადებულად ითვლება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სახმელეთო ამანათის მიღების მომენტიდან.

1. მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია სახმელეთო ამანათის „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით საქართველოში გაგზავნის პირობები. დოკუმენტი განკუთვნილია ყველა იმ პირისთვის, ვინც უზრუნველყოფს სახმელეთო ამანათის საქართველოში გაგზავნასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებასა და მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევას.

2. საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები

2.1. საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათი არის ამანათის სახეობა, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტები საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ავსტრიაში, ჩეხეთში, ბელგიაში, სლოვაკეთში, ნიდერლანდებში, ინგლისში, ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში, ირლანდიასა და ისრაელში იღებენ საკუთარი ოფისების (შემდგომში ერთად მოხსენიებული „აგენტები“ ან „აგენტი“) და გზავნილების გაცემის პუნქტების საშუალებით, უზრუნველყოფენ მათ ტრანსპორტირებას საქართველოში და გადასცემენ „საქართველოს ფოსტას“ და მის კონტრაქტორ ოფისებს, ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

2.2. „აგენტებს“ საკუთარი ოფისების და გზავნილების გაცემის პუნქტების საშუალებით სახმელეთო ამანათების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი

ოფის(ებ)ის და გაცემის პუნქტების არსებობის შესახებ წინასწარ წერილობით თანხმობას მიიღებენ „საქართველოს ფოსტისგან“.

2.3. სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება გამოითვლება ფაქტიური წონისა და „აგენტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1კგ.-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 1კგ-მდე წონის სახმელეთო ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი იხდის ფიქსირებულ - 1კგ.-სთვის დადგენილ ტარიფს.

2.4. სახმელეთო ამანათების საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება:

- საბერძნეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, პოლონეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, ბელგიიდან, სლოვაკეთიდან, ნიდერლანდებიდან, ლიეტუვადან, ლატვიიდან, ესტონეთიდან **ორშაბათ დღეს;**
- ინგლისიდან -**კვირა დღეს;**
- ირლანდიიდან – **პარასკევ დღეს;**
- ისრაელიდან - **ორ კვირაში ერთხელ, გამოგზავნის დღე წინასწარ განსაზღვრული არ არის.**

2.5. ადრესატისათვის ჩაუბარებელი სახმელეთო ამანათის უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება.

2.6. სახმელეთო ამანათის დაზღვევა შესაძლებელია გზავნილის გაგზავნისას, მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების, აგრეთვე ჩაბარების ვადის გადაცილების რისკისგან.

2.7. გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;

2.8. სახმელეთო ამანათის შეფუთვაზე გარედან დაიტანება შემდეგი მონაცემები:

- სახმელეთო ამანათის საიდენტიფიკაციო კოდი (შტრიხ კოდი);
- სახმელეთო ამანათის გამგზავნის ვინაობა; ქვეყანა და ქალაქი სადაც ცხოვრობს გამგზავნი; აგრეთვე მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- სახმელეთო ამანათის ადრესატის ვინაობა; მისი ზუსტი მისამართი (მოკითხვამდე პირობით გაგზავნის შემთხვევაში, მისამართის მაგივრად მიეთითება „საქართველოს ფოსტის სერვისცენტრის ნომერი და მისამართი); აგრეთვე ადრესატის მობილური ტელეფონის ნომერი .
- სახმელეთო ამანათის წონა;

2.9. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც

განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.

2.10. სახმელეთო ამანათის გამგზავნს და ადრესატს უფლება აქვთ ისარგებლონ შემდეგი დამატებითი სერვისებით:

- ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება;
- საფოსტო მომსახურების შესახებ ინფორმაციის(ცნობის) გაცემა;
- ამანათის გადამისამართება;

3. სახმელეთო ამანათის მიღება საქართველოში გასაგზავნად

3.1. „აგენტის“ ოფისი სახმელეთო ამანათის მიღებას საქართველოში გასაგზავნად ახორციელებს შემდეგი წყაროებიდან:

3.1.1. უშუალოდ გამგზავნისგან, რომელიც თავად უზრუნველყოფს სახმელეთო ამანათის „აგენტის“ ოფისში მიტანას;

3.1.2. შუამავალი კომპანიებისგან/შემგროვებლებისგან, რომლებიც ახორციელებენ საქართველოში გასაგზავნად განკუთვნილი სახმელეთო ამანათების მოგროვებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და მათ მიწოდებას „აგენტების“ ოფისებისთვის;

3.1.3. გზავნილის პროგრამაში რეგისტრაციის შემდგომ, ადრესატის ნომერზე გაიგზავნება sms შეტყობინება, შეტყობინება შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მის სახელზე გამოიგზავნა გზავნილი, თავისი კოდისა და ტრანსპორტირების შესაბამისი ვადის მითითებით.

3.2. გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათი რეგისტრირდება პროგრამაში „Woodoo Post Overland” და მას ენიჭება საიდენტიფიციკაციო კოდი (შტრიხ კოდი).

3.3. სახმელეთო ამანათის რეგისტრაციისას, სავალდებულოა პროგრამა „Woodoo Post Overland”-ში შეტანილ იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- გამგზავნი ქვეყანა და ქალაქი;

შენიშვნა: ვინაიდან სახმელეთო ამანათზე პასუხისმგებლობა იწყება მხოლოდ მათი „აგენტის“ ოფისისთვის გადაცემის შემდეგ, ამ ველში ყოველთვის მიეთითება არა ის ქვეყანა/ქალაქი, სადაც შუამავალი კომპანიების/შემგროვებლების მიერ მოხდება გზავნილის გამგზავნისგან მიღება, არამედ იმ კონკრეტული „აგენტის“ ოფისის შესაბამისი ქვეყნის/ქალაქის მითითება, რომელსაც გადაეცემა სახმელეთო ამანათი მისი საქართველოში ტრანსპორტირებისთვის.

- გამგზავნის სახელი და გვარი და საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი;
- ადრესატის სახელი, გვარი და საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი;

- ადრესატის მისამართი;
- ამანათის საერთო წონა;
- ამანათის შიგთავსის აღწერა;
- ამანათის შიგთავსის ღირებულება;

3.4. სახმელეთო ამანათის პროგრამა „Woodoo Post Overland"-ში რეგისტრაციას ახორციელებს:

3.4.1. „აგენტის" ოფისის ოპერატორი, თუ:

- სახმელეთო ამანათის მიღება გამგზავნიდან ხორციელდება უშუალოდ ასეთი ოფისების საშუალებით.
- სახმელეთო ამანათის მიღება ხორციელდება იმ შუამავალი კომპანიებისგან/ შემგროვებლებისგან, რომლებიც თავად არ მუშაობენ პროგრამა „Woodoo Post Overland"-ში და საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციას „აგენტის" ოფისს აწვდიან ელექტრონულად.

3.4.2. შუამავალი კომპანიები/ შემგროვებლები, რომლებსაც აქვთ წვდომა „Woodoo Post Overland" პროგრამასთან და თავად არეგისტრირებენ გზავნილებს.

3.5. შუამავალი კომპანიები/ შემგროვებლები, რომლებიც თავად არ არეგისტრირებენ გზავნილს პროგრამაში „Woodoo Post Overland", წინასწარ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწვდიან საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათების შესახებ ინფორმაციას „აგენტის" ოფისს". აღნიშნული ინფორმაცია ამომწურავად უნდა შეიცავდეს პუნქტი 3.3.-ში აღნიშნულ მონაცემებს.

3.6. „აგენტების" ოფისები ახორციელებენ მხოლოდ უნაკლო სახმელეთო ამანათების მიღებას. უნაკლოდ ითვლება ამანათი, რომელსაც გარეგანი დათვალიერებით არ აღენიშნება რაიმე სახის დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ ამანათის გადაცემის პროცესში შეფუთვა დაზიანებულია, უნდა შედგეს წერილობითი აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს ერთის მხრივ „აგენტის", ხოლო მეორეს მხრივ შუამავალი კომპანიის/ შემგროვებლის, წარმომადგენელი. დაზიანებული ამანათი „აგენტის" ოფისის მიერ არ მიიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ასეთი ამანათი პროგრამულად უკვე რეგისტრირებულია, ის უნდა წაიშალოს პროგრამიდან.

3.7. „აგენტების" ოფისები სახმელეთო ამანათების მიღებას შუამავალი კომპანიის/ შემგროვებლისგან ახორციელებენ რეესტრის საფუძველზე. ოფისის წარმომადგენელი ადარებს რეესტრში შეტანილ და ფაქტობრივად წარმოდგენილი ამანათების მონაცემებს (რაოდენობას, წონას, ზომას) ერთმანეთს. თუ რეესტრში მოცემული მონაცემები იდენტურია ფაქტობრივად წარმოდგენილი ამანათებისა, დგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ერთის მხრივ „აგენტის", ხოლო მეორეს მხრივ შუამავალი კომპანიის/ შემგროვებლის წარმომადგენელი. ამანათების რეესტრის და მიღება-ჩაბარების დედანი რჩება და ინახება შესაბამისი „აგენტის" ოფისში შვიდი თვის ვადით.

3.8. თუ შუამავალი კომპანიის/ შემგროვებლის მიერ შედგენილ რეესტრში მოცემული მონაცემები არ ემთხვევა ამანათების ფაქტობრივ მონაცემებს, უნდა მოხდეს რეესტრის დაკორექტირება და ამის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.

3.9. „აგენტის“ ოფისის მიერ „შუამავალი კომპანიის/ შემგროვებლისგან არ მიიღება:

- დაზიანებული და აღურიცხავი ამანათი;
- ამანათი, რომელსაც თან არ ერთვის რეესტრი;
- ამანათი, რომელსაც არ აქვს ადრესატის შესახებ სრული ინფორმაცია;
- ამანათი, რომელსაც არ ერთვის შიგთავსის აღწერა, ღირებულება და წონა.

3.10. სახმელეთო ამანათის გამგზავნს საშუალება აქვს დამატებითი საფასურის სანაცვლოდ დააზღვიოს ის, შემდეგი პირობების დაცვით:

3.10.1. სახმელეთო ამანათის დაზღვევა შესაძლებელია მისი რეალური ღირებულებით, გზავნილის დაკარგვის, გარეგანი დაზიანების, აგრეთვე ჩაბარების ვადის გადაცილების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა ამანათის გაგზავნისას დეკლარირებული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს მის საბაზრო ღირებულებაზე მეტი. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა - 2000 სსუ (SDR).

3.10.2. გამგზავნი ვალდებულია დაზღვეული სახმელეთო ამანათის გაგზავნისას მოახდინოს მისი შიგთავსის დეკლარირება თითოეული ნივთის დასახელების, წონისა და ფასის მითითებით. სახმელეთო ამანათში მოთავსებული ნივთების შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.

3.10.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, გამგზავნს მოეთხოვება დეკლარირებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (მაგ. შესყიდვის საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. ამასთან, თუ ამანათში მოთავსებული თითოეული ნივთის ღირებულება აღემატება <u>50 სსუ-ს,</u> მისი დაზღვევა შესაძლებელია ამ ნივთის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წინასწარ წარმოდგენის საფუძველზე. აღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ანაზღაურება მოახდინოს იმ ოდენობით, რომელსაც მიიჩნევს სახმელეთო ამანათის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

შენიშვნა: *სსუ (SDR) - საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი ფულადი ერთეული (სესხის სპეციალური უფლება) - რომლის ღირებულებაც აშშ დოლარში ყოველდღიურად განისაზღვრება ლონდონის ბირჟაზე დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად და სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.*

4. საქართველოში გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათის ტრანსპორტირება და ადრესატისათვის ჩაბარება

4.1. სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირებას ახორციელებს „საქართველოს ფოსტა“.

4.2. სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირებისა და მისი „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრებისათვის და კონტრაქტორი ოფისებისათვის გადაცემის ვადაა:

4.3. მისი **საბერძნეთიდან** გამოგზავნიდან არაუმეტეს **4-6 სამუშაო დღისა.**

4.4. მისი **იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, პოლონეთიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, ნიდერლანდებიდან, სლოვაკეთიდან, ლატვიიდან, ლიეტუვადან, ესტონეთიდან** არაუმეტეს **5-8 სამუშაო დღისა.**

4.5. **ისრაელიდან** გამოგზავნილი ამანათების საქართველოში ტრანსპორტირებისა და მისი „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრებისათვის და კონტრაქტორი ოფისებისათვის გადაცემის ვადაა მისი გამოგზავნიდან **არაუმეტეს 17-21 სამუშაო დღისა.**

4.6. **ირლანდიიდან** - გამოგზავნილი ამანათების საქართველოში ტრანსპორტირებისა და მისი „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრებისათვის და კონტრაქტორი ოფისებისათვის გადაცემის ვადაა მისი გამოგზავნიდან **არაუმეტეს 13-19 სამუშაო დღისა.**

4.7. **ინგლისიდან** - გამოგზავნილი ამანათების საქართველოში ტრანსპორტირებისა და მისი „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრებისათვის და კონტრაქტორი ოფისებისათვის გადაცემის ვადაა მისი გამოგზავნიდან **არაუმეტეს 3-5 სამუშაო დღისა.**

4.8. სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის შესაბამის სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში. ამასთან, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ოფისი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

4.9. სახმელეთო ამანათის სერვისცენტრში/კონტრაქტორ ოფისში მიღებიდან - **<u>არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა</u>** ადრესატის მობილური ტელეფონის ნომერზე იგზავნება SMS შეტყობინება. შეტყობინება შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად შეუძლია ადრესატს ამანათის ჩაბარება.

4.10. თუ გამგზავნის მიერ არ განხორციელდება ადრესატის მობილური ტელეფონის ნომრის მითითება, ან მის მიერ მითითებულ ნომერზე ვერ განხორციელდება SMS შეტყობინების გაგზავნა, აგრეთვე თუ ადრესატის მისამართად მითითებული იქნება „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრის მისამართი, ასეთი სახმელეთო ამანათი ჩაითვლება „მოკითხვამდე“ პირობით გაგზავნილად, რაც იმას ნიშნავს, რომ „საქართველოს ფოსტის“

საშუალებით ადრესატისათვის რაიმე დამატებითი შეტყობინების გაგზავნა - სახმელეთო ამანათის მის სახელზე არსებობის შესახებ არ განხორციელდება.

4.11. სახმელეთო ამანათის სერვისცენტრში/კონტრაქტორ ოფისში ჩაბარება შესაძლებელია მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ სახმელეთო ამანათი დამისამართებულია ფიზიკური პირის სახელზე, ის შეიძლება ჩაბარდეს სრულწლოვან ადრესატს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ასლის წარმოდგენის საფუძველზე, ან მის ნაცვლად მინდობილ პირს, რომელმაც საკუთარ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ან მის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს ადრესატის მიერ სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. თუ ადრესატი იურიდიული პირია, ამანათი შეიძლება ჩაბარდეს მის დირექტორს ან მინდობილ პირს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია სახმელეთო ამანათის ჩაბარება განახორციელოს სხვა ალტერნატიული მეთოდითაც, რომელიც დაადასტურებს ადრესატის ნების შესაბამისად ამანათის ჩაბარების ფაქტს.

4.12. სახმელეთო ამანათის ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემების დაფიქსირებისა და გზავნილის მიღების დასტურად მიმღების მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ. თუ მიმღები არ არის ამანათის უშუალო ადრესატი, მიმღებთან ერთად ასევე მოითხოვება იმ ინფორმაციის მითითებაც, რომლის საფუძველზეც დგინდება ადრესატის ნება ამანათი ჩაიბაროს მიმღებმა (მაგ. მინდობილობის მონაცემები, ადრესატისთვის გაგზავნილი ვერიფიკაციის კოდი და სხვა).

4.13. ის სახმელეთო ამანათი, რომლის ჩაბარებაზეც უარს განაცხადებს ადრესატი, აგრეთვე სახმელეთო ამანათი, რომელსაც გაუვა გზავნილის ჩაბარების ვადა, დაარქივდება ან გადაეცემა სახელმწიფოს. ამასთან, ადრესატისათვის ჩაუბარებელი ამანათი, რომლის შიგთავსს მალფუჭებადი პროდუქტი წარმოადგენს, „საქართველოს ფოსტის“ მიერ შესაძლოა განადგურდეს 30 დღიანი ვადის დაუცველად.

5. დამატებითი სერვისები

5.1. ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება

5.1.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებელს საშუალებას აძლევს ისარგებლოს დამატებითი სერვისით და დაწესებული საფასურის გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე სახმელეთო ამანათის მისამართზე მიტანა, მისი ადრესატისთვის ჩაბარების მიზნით.

5.1.2. აღნიშნული სერვისის განხორციელება შეუძლია როგორც გამგზავნს ისე ადრესატს;

5.1.3. თუ სახმელეთო ამანათის მისამართზე ჩაბარების სერვისს გამგზავნი შეუკვეთავს, ასეთი სერვისის საფასურის გადახდა მან უნდა განახორციელოს გზავნილის გაგზავნის საფასურის გადახდასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, სახმელეთო ამანათზე დაიტანება სტიკერი „ადგილზე მისატანი“.

5.1.4. საქართველოში „ამანათის მისამართზე ჩაბარების სერვისის“ შეკვეთა ხორციელდება „გზავნილის მისამართზე ჩაბარების“ დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

შენიშვნა:

- დამატებითი სერვისის „ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“ არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სახმელეთო ამანათის წონა აღემატება 20კგ-ს, ან ამანათი დაექვემდებარება სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, გამგზავნის მიერ გადახდილი სერვისის ღირებულება უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.
- იმ შემთხვევაში თუ ამანათი მდებარეობს კონტრაქტორ ოფისში და ადრესატს სურს მისი მისამართზე ჩაბარება, ის შპს „საქართველოს ფოსტის“ დამატებითი სერვისით - გზავნილის მისამართზე ჩაბარება“ ვერ ისარგებლებს, აღნიშნული სერვისი განხორციელდება კონტრაქტორ ოფისსა და ადრესატს შორის ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

5.2. ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ:

5.2.1. „ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ“, გულისხმობს მომხმარებლის (წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მისი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ამავე ფორმით ინფორმაციის მიწოდებას გამოგზავნილი/ჩაბარებული გზავნილის შესახებ.

5.2.2. აღნიშნული სერვისით დაინტერესებული გამგზავნის მომსახურება წარმოებს „ცნობა საფოსტო მომსახურების შესახებ“ დოკუმენტში აღწერილი პირობების მიხედვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ამანათი მდებარეობს კონტრაქტორ ოფისში ადრესატს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია საფოსტო მომსახურების შესახებ შპს "საქართველოს ფოსტის სერვისცენტრებში", ელ.ფოსტის services@gpost.ge -ს საშუალებით და ვებ გვერდზე www.gpost.ge ციფრული სერვისებში, ცნობის შეკვეთის რეგისტრაციის გზით.

5.3. ამანათის გადამისამართება

5.3.1. სახმელეთო ამანათის გადამისამართების (მისამართის და/ან სახელის, გვარის/ სახელწოდების ცვლილება) სერვისით შეუძლია ისარგებლოს როგორც გამგზავნმა ისე ადრესატმა (მხოლოდ მისამართის ცვლილების შემთხვევაში).

5.3.2. გზავნილის გადამისამართება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ რეგულაციის - „გზავნილის გადამისამართების წესის“ შესაბამისად.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ამანათი მდებარეობს კონტრაქტორ ოფისში, ადრესატი შპს „საქართველოს ფოსტის“ დამატებითი სერვისით - „გზავნილის გადამისამართება“ ვერ ისარგებლებს, აღნიშნული სერვისი განხორციელდება კონტრაქტორ ოფისსა და ადრესატს შორის ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

6. პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

6.1. „აგენტის“ პასუხისმგებლობა

6.1.1. საქართველოში გასაგზავნი ამანათების დახარისხებაზე, სატვირთო ავტომობილში ამანათების ჩატვირთვასა და ავტომობილის დალუქვაზე პასუხისმგებელია „აგენტი“.

6.1.2. სატვირთო ავტომობილებში ჩატვირთვის დროს, ამანათის დაზიანებაზე პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება „აგენტს“.

6.1.3. სავალდებულოა სატვირთო ავტომობილში ჩატვირთულ ამანათებს თან ერთვოდეს შემდეგი საექსპორტო დოკუმენტაცია:

- მანიფესტი (მანიფესტის შედგენა შესაძლებელია “Woodoo Post Overland” პროგრამაში);
- CMR სატრანსპორტო ზედდებული;
- TIR-CARNET;

6.1.4. „აგენტები“, ამანათების საქართველოს მიმართულებით ტრანსპორტირებისას, პასუხისმგებლები არიან ევროპის საზღვრის დატოვებისას საბაჟო პროცედურების გავლასა და ყველა სხვა გადასახადების გადახდაზე.

6.1.5. მომხმარებლის წინაშე „აგენტების“ პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „საქართველოს ფოსტისთვის“ დადგენილი პასუხისმგებლობის მოცულობის იდენტურად.

6.1.6. მომხმარებლის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია განახორციელოს როგორც „საქართველოს ფოსტამ“, ისე „აგენტმა“, იმის და მიხედვით ვისი ბრალეულობით მოხდება მომხმარებლისთვის ზიანის მიყენება.

6.2. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა

6.2.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება იმ პირდაპირი მატერიალური ზიანით, რომელიც მისი ბრალით იქნება გამოწვეული, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარისა.

6.2.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, მატერიალურ ზიანში არ იგულისხმება მომხმარებლის არაპირდაპირი ზარალი, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი.

6.2.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება სახმელეთო ამანათის:

<u>ა) დაკარგვით.</u> ამასთან, სახმელეთო ამანათი ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ, ან თუ სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

<u>ბ) გარეგანი დაზიანებით ან დაკარგვით, თუ ეს დაზიანება იწვევს სახმელეთო ამანათის შიგთავსის მთლიან ან ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას.</u> ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარეგანი დაზიანების ან დაკარგვის ფაქტი აღმოჩენილია სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების მომენტში, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით.

<u>გ) სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევით.</u> აღნიშნული ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება საბაჟო ორგანოს ან სხვა სახელმწიფო უწყების გადაწყვეტილებით სახმელეთო ამანათის შეჩერების ვადა. ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარების ვადის დარღვევით მიყენებული ზიანი აღმოჩენილია სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების მომენტში (მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში) შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით ან იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება ექსპერტული/აუდიტორული შეფასება, რომლითაც დადასტურდება სახმელეთო ამანათის ვადის დარღვევით ჩაბარების გამო მომხმარებლისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.

6.2.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს არც ერთი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.

6.2.5. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:

ა) სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რომლის მიზეზიც გამგზავნისგან მიღებული არასწორი (არასრულყოფილი) ინფორმაციაა;

ბ) დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მათ შორის, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;

გ) თუ სახმელეთო ამანათის დაკარგვა, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანება ან წონის სხვაობა გამოწვეულია გამგზავნის ბრალით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;

დ) იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;

ე) იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით, ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;

ვ) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახმელეთო ამანათის დაკავების, განადგურების ან მისი ჩამორთმევის შემთხვევაში;

ზ) თუ სახმელეთო ამანათის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევა განხორციელებულია იმაზე მეტ თანხად, ვიდრე გზავნილის რეალური ღირებულებაა (ამ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გზავნილის რეალური ღირებულება);

თ) თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;

ი) თუ მომხმარებელმა გზავნილის მდგომარეობის შესახებ პრეტენზია დააფიქსირა მისი ჩაბარებისა და „საქართველოს ფოსტის“ ტერიტორიის დატოვების შემდეგ;

კ) თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

6.3. გამგზავნის პასუხისმგებლობა

6.3.1. გამგზავნი პასუხისმგებელია:

ა) სახმელეთო ამანათის გაგზავნისას აგენტისთვის და შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, მათ შორის, იმ შედეგზე, რომელიც მოჰყვება გზავნილის გაგზავნას დეკლარირების გარეშე, ან არასწორი/არასრულყოფილი დეკლარირებით;

ბ) იმ ზიანზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“, მათ შორის მის თანამშრომელს, ქონებას ან მესამე პირების საფოსტო გზავნილებს, აკრძალული ნივთის გაგზავნის ან სახმელეთო ამანათის არასათანადოდ შეფუთვის გამო.

6.3.2. გამგზავნის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ გასაგზავნად მიიღებს სახმელეთო ამანათს, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთს, ან თუ გზავნილი შეფუთულია დადგენილი წესების დარღვევით, ან ან თუ გზავნილი არ არის დეკლარირებული ან ის დადეკლარირებულია არასწორად/არასრულად.

6.4. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

6.4.1. **შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:**

ა) სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას -

- **გაგზავნის ღირებულებას + შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;**

ბ) სახმელეთო ამანათის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას -

- **დაზიანებული/დაკარგული ნივთის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;**

გ) სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს **შიგთავსის დეკლარირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის.**

დ) დაზღვეული სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას -

- **გაგზავნის ღირებულებას + სახმელეთო ამანათის დაზღვეული ღირებულება;**

ე) დაზღვეული სახმელეთო ამანათის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას -

- **დაზიანებული/დაკარგული ნივთის დაზღვეული ღირებულება.**

6.4.2. მომხმარებელს, შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ რეკლამაციით მიმართვის უფლება აქვს სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში. შპს „საქართველოს ფოსტა“ რეკლამაციის განხილვას და ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ახორციელებს ასეთი რეკლამაციის მიღებიდან 1(ერთი) თვის განმავლობაში, კომპანიაში დადგენილი წესის შესაბამისად.